ქალებო მთელი ქვეყნისა შეერთდით!

როცა გაზ. „შრომის“ მე 6N გადავშალე რომა ერთის მეორეს საწინააღმდეგო გრძნობამ შემიპყრო: სიხარულისა და სიმწუხარისამ. სიხარული გამოიწვია ჩემში, სიმპატიურმა წერილმა: „ორი ხმა“, - რომელიც სიამოვნებით აღინიშნავს ქალთა გამოფხიზლებას გაზ: „ხმა ქართველის ქალისა“-ს საშვალებით და ამბობს: „ჩვენ აღტაცებით ვეგებებით ამ ფაკტს, ის ყოველ მხრივ მნიშვნელოვანია, „ე.ი. ქალთაგან გაზეთის დაარსება!: -ო.

სამწუხაროა მეორე წერილი იმავე გაზეთში რომელიც არას გზით არ აიხსნება გაზ. „შრომის“ ჩვენთან ცუდი განწყობილებათ. პირიქით გაზ. „შრომა“ ჩვენი ქალების ყოველთვის მედგარი დამცველია ასე რომ ჩვენ გვტკივა გული და ვაძლევთ პასუხს ბ. ჯავახს და არა გ. „შრომას.“ ბ . ჯავახი „შრომის“ მე 6N-ში ამბობს: „როდესაც ყველანი ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მივისწრაფოდეს ერთი მიზნისაკენ რომ გარიყული არ დავრჩეთ ცხოვრებისაგან; დღეს როდესაც დიდი პატარა, ქალი, კაცი (?) შეერთებული მოქმედებისაკენ უნდა მოუწოდებდეთ ყველას, რომ მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ ახალ წყობილებას, ქართველი ქალები ცალკე საზოგადოებას იარსებენ, ეთიშებიან მამაკაცებს.“ ამის პასუხათ მე ვაყენებ ასეთ დევიზს: ქალებო მთელი ქვეყნისა, შევერთდეთ! ჩვენ. ქალებს გვიძევს წინ ერთი დიდი საკითხი: ქალთა ემანსიპაცია! ამ საკითხის გარშემო უნდა შევერთდეთ ყველა ქვეყნის ქალები განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, მიმართულებისა, სოციალური მდგომარეობისა, და მთელი ჩვენი ძალ-ღონით ვებრძოლოთ ჩვენს დამმონავებელ პირობებს, ჩვენ არ უნდა ველოდოთ უფლებების „ბოძებას“, უნდა ერთის პირით და ერთის ძალით მოვიპოვოთ ის! რაც უნდა შეგნებული მამაკაცი იყოს უმრავლეს შემთხვევაში ის მაინც რაღაც ზევიდან დაგვცქერის, ეჭვის თვალით და ირონიულად უცქერის ჩვენს სამართლიან ლტოლვილებას. სხვა საერთო საქმეში ხელი-ხელ ჩაკიდებულები..... მხოლოთ ქალთა საკითხებში კი - ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონდეს, ქალებო! აი, ასეთ დროს გვავნებს ჩვენ, ისევ ჩვენივე (ქალების) დაყოფა და ძალთა დაქსაქსვა. პარტიული კინკლაობით ჩენი პირადი საქმე არ უნდა დავღუპოთ! შევერთდეთ ერთი დროშის ქვეშ და ყველა ქალებმა და მედგრად დავიცვათ ჩვენი ინტერესები დავივიწყოთ ამ საკითხის გარშემო ყოველივე პირადული ინტერესები და პარტიული უთანხმოება, თორემ ისტორია ქალთა განთავისუფლებისა არ გვაპატიებს ჩვენ ამას. ქართველი ქალები ისეც ცოტანი ვართ საქმის მკეთებელი და კიდევ ძალთა დაყოფა, ერთმანეთთან უთანხმოება და მით საქმის გაფუჭება - მიუტოებელი ცოდვაა! ამით ჩვენ გავახარებთ ქალთა უფლების მტრებს და საბაბს მივსცემთ კიდევ მეტი სწერონ ჩვენი სომპატიური წრეებისა და კლუბების შესახებ. „რომელი წრე და საზოგადოებაც გნებავთ აიღეთ მამაკაცებისა, რომ მიზნათ არ ჰქონდეს დასახული წევრების თვით განვითარება, სამკითხველოს წიგნთ-საცავების დაარსება და სხვ... და ნუ თუ ქართველ ქალებს არ შეეძლოთ ჩაწერილიყვნენ ერთ რომელიმე წრეში და მამაკაცებთან ერთად ემუშავათ“- ო ამბობს ბ.ჯავახი. ჩვენ არ გვინდა მამაკაცების ხელისშემაცქერალნი ვიყოთ თვითგანვითარების იარაღის მოპოვებაში. ჩვენ ვსთქვით და კიდეც ვიმეორებთ, რომ ყველა საერთო საქმეებში მხარში ამოვუდებით მამაკაცებს, მაგრამ ქალთა საკითხი ჩვენი პირადი საქმეა და ჩვენ უნდა გავუძღვეთ მას ქალთა წრეებისა და კლუბებისა (ბანქოს) სათამაშო რო ეგონათ ზოგიერთს! დაარსებით.

ეს ჩვენ ხელს არ შეგვიშლის საერთო საქმეში მონაწილეობის მიღებაში, პირიქით დაგვეხმარება კიდეც, რადგან უფრო მომზადებულები ვიქნებით. გაიგონ ეს და უკუღმართათ ნუ ხსნიან ზოგიერთი მამაკაცები ჩვენ წმინდა მისწრაფებას.

ჩვენ უნდა ჩვენივეე, თავის იმედი ვიქონიოთ და მაშინ სხვებიც დაგვეხმარებიან ამისთვის ჩვენ დებს ვუყივით:

ქალებო მთელი ქვეყნისა, შეევერთდეთ!

ნინო ნადირაძე

1917 წელი, #4